

რუსეთის ფედერაცია

სამოსამართლო ეთიკის კოდექსი

დამტკიცებულია სრულიად რუსეთის მოსამართლეთა VIII ყრილობის მიერ,
19 დეკემბერი, 2012 წელი

(არაოფიციალური თარგმანი)

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის საწყისებზე განხორციელებული კომპეტენტური და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების მიერ. ასეთი მართლმსაჯულება გულისხმობს თითოეული მოსამართლის მიერ პროფესიული ეთიკის დაცვას, თავისი მოვალეობების პატიოსან და კეთილსინდისიერ შესრულებას, გამოვლინებას - სათანადოდ იზრუნოს და დაიცვას, როგორც საკუთარი პატივი და ღირსება, ისე სასამართლო ხელისუფლების ღირსება და ავტორიტეტი.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ხელშეუხებლობის, შეუცვლელობის, მათ საქმიანობაში ჩაურევლობის, მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფის მაღალი დონის სახელმწიფო გარანტიები წარმოადგენს, მოსამართლის არა პირად პრივილეგიას, არამედ მართლმსაჯულების მიზნების უზრუნველყოფის საშუალებას – გამოიტანონ კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილებები.

რუსეთის ფედერაციის მოსამართლეები, ეყრდნობიან რა, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის დებულებებს, კანონმდებლობას რუსეთის ფედერაციის სასამართლო სისტემისა და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, ავითარებენ და აკონკრეტებენ მათ იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს თითოეული მოქალაქის უფლება მათი საქმის სამართლიანი და დროული განხილვის შესახებ კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ასევე, მოსამართლეთა ქცევის სტანდარტების დადგენა როგორც სასამართლო ხელისუფლებისადმი და მართლმსაჯულების ხარისხისადმი საზოგადოებრივი ნდობის საფუძველი, აცნობიერებენ რა, საკუთარ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, მართლმსაჯულების სათანადო განხორციელებისათვის, იღებენ მოსამართლეთა ეთიკის კოდექსს.

თავი 1. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების საგანი

1. მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი წარმოადგენს მოსამართლეთა ერთიანობის აქტს, ადგენს თითოეული მოსამართლის სავალდებულო ქცევის წესებს პროფესიული საქმიანობის

განხორციელებისას, როგორც მართლმსაჯულების აღსრულების, ისე არასამოსამართლო საქმიანობის მომენტში, რაც ეფუძნება მაღალ მორალურ–ეთიკურ მოთხოვნებს, რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის დებულებებს, საერთაშორისო სტანდარტებს მართლმსაჯულებისა და მოსამართლეთა ქცევის სფეროში.

2. სასამართლო ეთიკის კოდექსის შესრულების აუცილებლობა განსაზღვრულია მოსამართლის სტატუსით, კონკრეტული პირის მოსამართლის უფლებამოსილებით აღჭურვილ - მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება საკითხებზე, რომლებიც ეხება იმ პირთა უფლებებს, თავისუფლებებსა და ვალდებულებებს, რომელთაც მიმართეს სასამართლოს ამ უფლებათა დასაცავად.

3. რუსეთის ფედერაციის მოსამართლეები სარგებლობენ ყველა უფლებით, რაც გათვალისწინებულია რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით, ფედერალური კანონებით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით, იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რაც დადგენილია რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით.

მუხლი 2. მოქმედების სფერო

1. მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება რუსეთის ფედერაციის ყველა მოსამართლეზე, მათ შორის ყოფილ მოსამართლეებზეც.

2. მოსამართლეთა ეთიკის კოდექსით დადგენილი პროფესიული ქცევის წესები, ასევე, ვრცელდება იმ პირებზე, რომელთაც ფედერალური კანონის შესაბამისად ეკისრებათ მართლმსაჯულების განხორციელება მათ მიერ მართლმსაჯულების აღსრულების ფუნქციის შესრულების პერიოდში.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლეთა ეთიკის რომელიმე საკითხი არ არის დარეგულირებული მოსამართლეთა ეთიკის კოდექსით, მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს საზოგადოებაში საყოველთაოდ მიღებული მორალურ–ეთიკური ქცევის პრინციპებით, აგრეთვე, მართლმსაჯულებისა და მოსამართლეთა ქცევის სფეროში დადგენილი საერთაშორისო სტანდარტებით.

4. სასამართლოს თავმჯდომარეები, მოსამართლეები უნდა იცნობდნენ მოსამართლის თანაშემწის, სხდომის მდივნის და სასამართლო აპარატის სხვა თანამშრომელთა ეთიკის კოდექსების შინაარსს.

5. თუ მართლმსაჯულების განხორციელებისას ან არასამოსამართლო საქმიანობის დროს მოსამართლეს უძნელდება განსაზღვროს კონკრეტულ სიტუაციაში მისი ქცევა შეესაბამება თუ არა პროფესიული ეთიკისა და მოსამართლის სტატუსის მოთხოვნებს, ან თუ მოსამართლე არ არის დარწმუნებული იმაში, როგორ მოიქცეს რთულ ეთიკურ სიტუაციაში ისე, რომ შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, მას უფლება აქვს ახსნა-განმარტების მისაღებად შესაბამისი შეკითხვით მიმართოს რუსეთის ფედერაციის მოსამართლეთა საბჭოს ეთიკის კომისიას, რაზეც უარის თქმა დაუშვებელია.

მუხლი 3. მოსამართლეთა ეთიკის კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება.

მოსამართლეთა ეთიკის კოდექსში გამოიყენება შემდეგი ტერმინები:

ახლო ნათესავები – მეუღლე, მშობლები, შვილები, მშვილებლები, შვილობილები, ღვიძლი ძმები და დები, პაპა, ბებია, შვილიშვილები;

მოსამართლის მეუღლე – მასთან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი;

მოსამართლის ოჯახის წევრები – მეუღლე, მშობლები, შვილები, მოსამართლესთან ერთად მცხოვრები ნებისმიერი სხვა ახლო ნათესავი;

პირები, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებენ მართლმსაჯულებას – ნაფიცი მსაჯულები, არბიტრაჟის მსაჯულები;

სასამართლოს შემაჯამებელი აქტი – სასამართლოს აქტი, რომლითაც მთავრდება საქმის არსებითი განხილვა შესაბამის სასამართლო ინსტანციაში.

თავი 2. ქვევის ზოგადი პრინციპები, რომელთა დაცვაც მოეთხოვებათ მოსამართლეებს

მუხლი 4. კანონმდებლობისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დაცვა

1. მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში თავისი მოვალეობების შესრულებისას, მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს, რომ სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის არსს და მნიშვნელობას განსაზღვრავს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების სამართლებრივი დაცვა.

2. თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას და მის გარეთ მოსამართლე ვალდებულია დაიცვას რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია, ფედერაციული კონსტიტუციური კანონები, ფედერალური კანონები, იხელმძღვანელოს რუსეთის ფედერაციის კანონით: „რუსეთის ფედერაციაში მოსამართლის სტატუსის შესახებ“, საპროცესო კანონმდებლობის ნორმებით, სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებით, აგრეთვე მოსამართლეთა ეთიკის კოდექსით დადგენილი პრინციპებითა და წესებით, საყოველთაოდ აღიარებული მორალისა და ღირსების ნორმებით, მკაცრად დაიცვან მოსამართლის ფიცი.

3. მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დაცვა უნდა იყოს მოსამართლის შინაგანი რწმენა, მისი ცხოვრების წესი, უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების ნდობის განმტკიცებას სასამართლოს სისტემისადმი, მის დარწმუნებას მასში, რომ მართლმსაჯულება ხორციელდება კომპეტენტურად, დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და სამართლიანად.

მუხლი 5. მოთხოვნები პროფესიული საქმიანობისას პრიორიტეტულობის უზრუნველყოფის შესახებ

1. მოსამართლეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი საქმიანობა მიმართული მართლმსაჯულების განხორციელებისკენ მისთვის წარმოადგენს პრიორიტეტს ნებისმიერ სხვა საქმიანობასთან შედარებით, რომლის განხორციელების უფლებაც მას მინიჭებული აქვს კანონმდებლობით მოსამართლეთა სტატუსის შესახებ.

2. მოსამართლეს უფლება არა აქვს თავი აარიდოს მასთან შემოსული განცხადებების, შუამდგომლობების და საჩივრების განხილვას ან სხვა სახით უარი თქვას თავისი პროფესიული

მოვალეობების შესრულებაზე გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც მოითხოვს თვითაცილების განცხადებას.

3. მოსამართლემ თანამდებობაზე ყოფნის მთელი დროის მანძილზე არ უნდა განახორციელოს არანაირი საქმიანობა, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს მის დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას და მიიყვანს მას ინტერესთა კონფლიქტამდე.

4. მოსამართლე სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პარალელურად შეიძლება ეწეოდეს კანონით ნებადართულ სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, მათ შორის პედაგოგიურ, სამეცნიერო და შემოქმედებით საქმიანობას, თუ ეს ხელს არ შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებას.

მუხლი 6.

1. მოსამართლემ უნდა დაიცვას მორალისა და ღირსების მაღალი სტანდარტები, იყოს პატიოსანი, ნებისმიერ სიტუაციაში დაიცვას პირადი ღირსება, გაუფრთხილდეს თავის პატიოსნებას, განერიდოს ყველაფერს, რამაც შეიძლება შეზღავდეს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი და ზიანი მიაყენოს მოსამართლის რეპუტაციას.

2. მოსამართლემ კეთილსინდისიერად უნდა გამოიყენოს თავისი სამოქალაქო უფლებები და შეასრულოს სამოქალაქო ვალდებულებები. მან არ უნდა გამოიყენოს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში პირადი გამორჩენის მისაღებად. მან თავი უნდა აარიდოს ისეთი ხელშეკრულების დადებას, რომელიც წარმოშობს ფინანსურ ვალდებულებებს პირებთან, რომლებიც სამსახურებრივად დამოკიდებულნი არიან მასზედ, აგრეთვე პირებთან, რომლებიც წარმოადგენენ მის წარმოებაში არსებულ საქმეზე სასამართლო პროცესის მონაწილეებს.

3. მოსამართლემ არ უნდა გამოიყენოს თავისი სტატუსი რაიმე სიკეთის, მომსახურების, კომერციული ან სხვა გამორჩენის მიღების მიზნით, თავისთვის ან თავისი ნათესავებისთვის, მეგობრებისთვის, ნაცნობებისთვის (მაგალითად, კრედიტის მიღება, ხელშეკრულების დადება სხვადასხვა პირობებით, რაც გათვალისწინებულია სხვა პირებთან მიმართებაში); მოითხოვოს ან მიიღოს რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათები, გასამრჯელო და ქონება (უპროცენტო სესხი, მომსახურება, გართობების, დასვენების, ტრანსპორტის ხარჯების ანაზღაურება) და ვალდებულია მიიღოს გონივრული ზომები იმისათვის, რომ მითითებული შეღავათები, გასამრჯელო და ქონება არ მიიღონ მისი ოჯახის წევრებმა თუ ეს გამოწვეულია იმ ქმედებებით, რომელიც განახორციელა მოსამართლემ ან აპირებდა მის განხორციელებას ან გამოწვეულია მოსამართლეთა უმოქმედობით, დაკავშირებული მათი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან;

მოსამართლემ არ უნდა გამოიყენოს თავისი სტატუსი პირად საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებისათვის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის მიმართვისას, მიიღოს გასამრჯელო თავისი მოვალეობების შესრულებისას, რაც დაკავშირებულია მართლმსაჯულების განხორციელებასთან, ასევე სხვა წყაროებიდან, გარდა ფედერალური ბიუჯეტისა, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – რუსეთის ფედერაციის შესაბამისი სუბიექტის ბიუჯეტიდან.

4. მოსამართლე ინფორმირებული უნდა იყოს თავისი პირადი ქონების და მისი წარმომავლობის წყაროების შესახებ, უნდა მიიღოს გონივრული ზომები თავისი ოჯახის წევრების ქონებისა და მატერიალური ინტერესების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

5. მოსამართლემ არ უნდა ჩაიდინოს რაიმე ისეთი ქმედება ან მისცეს საბაზი სხვა პირებს, ჩაიდინონ ისეთი ქმედება, რომელიც გავლენას მოახდენს მოსამართლის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებაზე და ეჭვქვეშ დააყენებს მოსამართლის დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას.

მუხლი 7. მოთხოვნები დაკავშირებული წოდების, ჯილდოს, საჩუქრის მიღებისას

მოსამართლეს შეუძლია მიიღოს საპატიო და სპეციალური წოდება, ჯილდოები და სხვა სიმბოლოები, მათ შორის უცხო სახელმწიფოების, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი გაერთიანებების და სხვა ორგანიზაციებისგან, აგრეთვე მიიღონ საჩუქრები კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

თავი 3. მოსამართლეთა პროფესიული ქცევის პრინციპები და წესი

მუხლი 8. დამოუკიდებლობის პრინციპი

1. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელებისას კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის კონსტიტუციურ პრინციპს, მიუკერძოებლობისა და სამართლიანი სასამართლო განხილვების ძირითად გარანტიას. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შენარჩუნება, დამოუკიდებლობის პრინციპის ერთგულება არის მოსამართლის მოვალეობა.

2. საქმის განხილვის პროცესში მოსამართლე ვალდებულია დაიკავოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი პოზიციები პროცესის ყველა მონაწილესთან მიმართებაში. მოსამართლემ სამოსამართლო უფლებამოსილება უნდა განახორციელოს საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივ გარემოებათა შეფასებიდან გამომდინარე, თავისი შინაგანი რწმენით და პროცესის ყველა მონაწილის საპროცესო უფლებების პატივისცემით, რაიმე სახის ჩარევისაგან დამოუკიდებლად, საქმის განხილვის პროცესში ზეწოლის, პირდაპირი ან არაპირდაპირი მუქარის გარეშე, რომელი მხრიდანაც არ უნდა მოდიოდეს და რა მოტივებითა და მიზნებითაც არ უნდა იყოს გამოწვეული იგი.

3. მოსამართლემ პროფესიული საქმიანობა უნდა განახორციელოს კანონთან ზუსტი შესაბამისობით, შინაგან რწმენის საფუძველზე და არ მოექცეს ვინმეს გავლენის ქვეშ, ვინც არ უნდა იყოს. მოსამართლის საქმიანობის შესახებ საჯარო მსჯელობა, მისი მისამართით კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა ახდენდეს გავლენას მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე.

მოსამართლეზე ზემოქმედების ნებისმიერი მცდელობისას, მასზე პირდაპირი ან არაპირდაპირი ზეწოლისას, მის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის მიზნით, მოსამართლე ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს სასამართლოს თავმჯდომარეს, მოსამართლეთა საზოგადოებას, აგრეთვე სამართალდამცავ ორგანოებს.

4. მოსამართლე ვალდებულია საქმეში მონაწილე პირებს მიაწოდოს ინფორმაცია ნებისმიერი არა საპროცესო ხასიათის მიმართვების შესახებ, რომლებიც მან მიიღო განსახილველ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, აგრეთვე იმ გარემოებების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა მოსამართლე ჩააყენოს ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციაში.

მუხლი 9. ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი

1. მოსამართლეების ობიექტურობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების აუცილებელ პირობებს. მოსამართლის ქცევამ სასამართლო განხილვისას და მის გარეთ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების და პროცესის მონაწილეების ნდობის განმტკიცებას მოსამართლისა და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის მიმართ.

2. თავისი პროფესიული მოვალეობების შესრულებისას საქმის ობიექტური განხილვის მიზნით, მოსამართლე თავისუფალი უნდა იყოს რაიმე სახის უპირატესობის, შეგულიანების, ან წინასწარ შექმნილი აზრისაგან და უნდა შეეცადოს, რომ გამოირიცხოს ყოველგვარი ეჭვი მისი მიუკერძოებლობის შესახებ.

3. მოსამართლემ შეძლებისდაგვარად თავი უნდა შეიკავოს ისეთი ქმედებებისაგან, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი ან საფუძვლად დაედოს მის ჩამოცილებას სასამართლო განხილვიდან.

4. მოსამართლემ უარი უნდა თქვას საქმის განხილვაზე თუ არსებობს მოსამართლის აცილების კანონით გათვალისწინებული საფუძველი ან თუ შეიძლება წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი ან შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლის მიუკერძოებლობას, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მოსამართლის მეუღლე ან პირი, რომელიც არის ერთ-ერთი მათგანის ახლო ნათესავი, წარმოადგენს საქმეში მონაწილე მხარეს ან პროცესის სხვა მონაწილე მოცემულ სასამართლო წარმოებაში.

ბ) მოსამართლის მეუღლე ან პირი, რომელიც არის ერთ-ერთი მათგანის ახლო ნათესავი, დაინტერესებულია განსახილველი საქმით, შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს სასამართლო პროცესის მსვლელობაზე, ან მუშაობს ორგანიზაციაში, რომელიც არის პროცესის მონაწილე, ან თუ სასამართლოს გადაწყვეტილებას შეუძლია არსებითად იმოქმედოს მათ ინტერესებზე.

ვ) მოსამართლე ფლობს ისეთ ცნობებს, რომელთა გამოც ის შეიძლება იქცეს მოწმედ მოცემული დავის გარემოებებთან დაკავშირებით.

გ) მოსამართლის ან მისი ოჯახის წევრებზე მიმდინარეობს ზეწოლა, გამოითქმება მუქარები ან ხორციელდება სხვა სახის ზემოქმედება, რომელიც ეჭვს ქვეშ აყენებს მოცემულ საქმეზე მოსამართლის მიერ ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანას. ამასთან ერთად, მოსამართლეს შეუძლია უარი თქვას საქმის განხილვაზე საკუთარი ან თავისი ახლობლების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ მან ყველა ზომა მიიღო თავისი ან თავისი ახლობლების უსაფრთხოების ორგანიზებისთვის და უსაფრთხოების ზომები არ იქნა განხორციელებული კომპეტენტური ორგანოების მიერ გონივრულ ვადაში.

5. მოსამართლემ თავი უნდა აარიდოს ისეთ სიტუაციებს, როცა პროცესის მონაწილეებთან მისმა პირადმა ურთიერთობებმა შეიძლება აღძრას საფუძვლიანი ეჭვი ან შექმნას შთაბეჭდილება მოსამართლის მხრიდან რაიმე სახის უპირატესობის მინიჭების ან მიკერძოებული დამოკიდებულების შესახებ. მსგავსი სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში მოსამართლემ ამის შესახებ უნდა შეატყობინოს საქმეში მონაწილე პირებს.

მუხლი 10. თანასწორობის პრინციპი

1. თანაბარი დამოკიდებულების უზრუნველყოფა საქმეში მონაწილე ყველა პირთან წარმოადგენს მართლმსაჯულების ობიექტური და მიუკერძოებელი განხორციელების, სამართლიანი სასამართლო განხილვის პირობას.

2. მოსამართლემ თავისი მოვალეობების შესრულებისას უნდა იხელმძღვანელოს თანასწორობის პრინციპით, ხელი შეუწყოს მხარეთა შორის ბალანსის დაცვას, უზრუნველყოს თითოეული მათგანი თანაბარი შესაძლებლობებით, გამოავლინოს ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, ერთნაირი გულმოდგინებით მოეკიდოს სამართალწარმოების ყველა მონაწილეს განურჩევლად მათი სქესისა, ერისა, ეროვნულობისა, ენისა, წარმომავლობისა, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილის, რელიგიასთან დამოკიდებულების, რწმენის, საზოგადოებრივ გაერთიანებებთან მათი კუთვნილების, აგრეთვე სხვა გარემოებების მიუხედავად.

3. მოსამართლეს უფლება აქვს საქმეში მონაწილე პირებისაგან და პროცესის სხვა მონაწილეებისაგან მოითხოვოს, თავი შეიკავონ ნებისმიერი პირის მიმართ მიკერძოების ან საწინააღმდეგო აზრის გამოვლენისაგან, იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც დაკავშირებულია ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან, აქვთ სამართლებრივი მნიშვნელობა სასამართლო განხილვის საგნისათვის და შეიძლება იყოს იურიდიულად გამართლებული.

4. მოსამართლემ უნდა გამოავლინოს კორექტულობა მოქალაქეებთან ურთიერთობაში, პატივისცემით მოეპყროს ხალხის მორალურ ადათ-წესებს და ტრადიციებს, გაითვალისწინოს სხვადასხვა ეთნიკური და სოციალური ჯგუფების და კონფესიების კულტურული და სხვა თავისებურებანი, ხელი შეუწყოს ეროვნებათაშორის და კონფესიებს შორის (რელიგიებს შორის) თანხმობის დამყარებას, არ დაუშვას კონფლიქტური სიტუაციები, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ სასამართლო ხელისუფლების რეპუტაციას ან ავტორიტეტს.

5. მოსამართლემ თავისი მოვალეობების შესრულებისას არ უნდა გაუკეთოს დემონსტრირება თავის რელიგიურ კუთვნილებას.

6. მოსამართლემ თავისი პროფესიული მოვალეობები უნდა შეასრულოს ვინმესთვის რაიმე უპირატესობის მინიჭების და ფაქტობრივი ან აშკარა მიკერძოების, დისკრიმინაციის გარეშე, უზრუნველყოს მხარეების მიერ მათი პროცესუალური მოვალეობებისა და კანონით მინიჭებული უფლებების განხორციელებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, უზრუნველყოს საქმის გონივრულ ვადაში განხილვა.

მუხლი 11. მოსამართლეთა კომპეტენტურობა და კეთილსინდისიერება

1. კომპეტენტურობა და კეთილსინდისიერება წარმოადგენს მოსამართლის მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში თავიანთი მოვალეობების სათანადოდ შესრულების აუცილებელ პირობებს.

2. მოსამართლემ თავისი მოვალეობები უნდა შეასრულოს კეთილსინდისიერად, მაღალ პროფესიულ დონეზე, მიიღოს ყველა ზომა საქმის დროული და კვალიფიციური განხილვისათვის, აგრეთვე იმოქმედოს მხარეების მორიგებისათვის, დავის მშვიდობიანად მოგვარებისათვის.

3. მოსამართლემ უნდა მიიღოს ზომები, თითოეული მოქალაქის მიმართ გონივრულ ვადაში სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების უზრუნველსაყოფად, სათანადო წესით გაუკეთოს ორგანიზება და ჩაატაროს სასამართლო სხდომები, არ დაუშვას ერთსა და იმავე დროს რამდენიმე საქმის განხილვის დანიშვნა, სასამართლო სხდომების არაერთგზის და უსაფუძვლო გადადება, მათ შორის მათი არასათანადო მომზადების მოტივით.

4. მოსამართლეებმა უნდა იზრუნონ საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, გაიღრმავონ პროფესიული ცოდნა, სრულყოთ პრაქტიკული გამოცდილება და ხარისხი, რაც აუცილებელია თავიანთი მოვალეობების სათანადოდ შესრულებისათვის. ამ მიზნით მოსამართლეებმა უნდა გამოიყენონ როგორც დამოუკიდებელი სწავლების შესაძლებლობა, ისევე სისტემატიურად უნდა გაიარონ გადამზადება კვალიფიკაციის ასამაღლებელ სახელმწიფო დაწესებულებებში;

5. მოსამართლემ უნდა იცოდეს რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესახებ, ადამიანის უფლებათა სფეროში საერთაშორისო კონვენციებისა და სხვა დოკუმენტების ჩათვლით, სისტემატიურად უნდა სწავლობდეს სააღსრულებო პრაქტიკას, მათ შორის რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

6. მოსამართლეს უფლება არა აქვს გაახმაუროს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი მოვალეობების შესრულებისას. კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა მოსამართლისათვის მისი თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის მიერ ან განდობილი სხვა პირისათვის იმ მიზნებისთვის, რაც არ არის დაკავშირებული მოსამართლის მოვალეობების შესრულებასთან.

7. მოსამართლეებმა უნდა დაიცვან ქვევის მაღალი კულტურა პროცესის მსვლელობისას, დაიცვან წესრიგი სასამართლო სხდომებისას, მოიქცნენ ღირსეულად, გამოავლინონ მოთმინება, თავაზიანობა პროცესის მონაწილეებისა და სხვა პირთა მიმართ, რომლებიც ესწრებიან სასამართლო სხდომებს.

მოსამართლეს უფლება აქვს ასეთივე ქცევა მოითხოვოს პროცესის მონაწილეებისა და ყველა იმ პირებისგან, რომლებიც ესწრებიან სასამართლო სხდომებს, აგრეთვე სასამართლოს აპარატის თანამშრომლებისგან.

მუხლი 12. ქვევის წესები ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული უფლებამოსილების განხორციელებისას

1. მოსამართლეთა პროფესიული საქმიანობა თავის თავში მოიცავს არა მარტო მოვალეობის შესრულებას სასამართლოში საქმის განხილვისას და გადაწყვეტილების მიღებას, არამედ სხვა ამოცანებისა და უფლებამოსილებების შესრულებას, მათ შორის ორგანიზაციულ-განმკარგულებელი ხასიათის, რაც დაკავშირებულია სასამართლოს საქმიანობასთან. ამასთან ერთად, სამოსამართლო ფუნქციების გახორციელებას ენიჭება პრიორიტეტი სხვა სახის საქმიანობასთან შედარებით.

2. მოსამართლემ, რომელსაც სხვა მოსამართლეებთან მიმართებაში მინიჭებული აქვს ორგანიზაციულ-განმკარგულებელი უფლებამოსილებები (სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე), საკუთარი პროფესიული საქმიანობისას უნდა შეასრულოს არა მარტო მართლმსაჯულების განხორციელების მოვალეობები, არამედ კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული ადმინისტრაციული უფლებამოსილებებიც, ხელი შეუწყოს სასამართლო ადმინისტრირების სფეროში პროფესიული კვალიფიკაციის მაღალი დონის შენარჩუნებას და თავისი წვლილი შეიტანოს სხვა მოსამართლეების და სასამართლოს აპარატის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების ეფექტურობის გაზრდის საქმეში.

3. სასამართლოს თავმჯდომარეს (სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს) ორგანიზაციულ-განმკარგულებელი უფლებამოსილების განხორციელებისას უფლება არა აქვს განახორციელოს ისეთი ქმედება (უმოქმედობა), რომელიც ზღუდავს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას, მოახდინოს მათზე ზეწოლა, აგრეთვე, გამოიყენოს ადმინისტრაციული ზემოქმედების სხვა მეთოდები, მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლეთა საქმიანობაზე გავლენის მოხდენის მიზნით.

4. რამდენადაც მართლმსაჯულების განხორციელება შეუძლებელია სასამართლოს აპარატის მუშაობის სწორი ორგანიზების გარეშე, სასამართლოს და მისი აპარატის მუშაობის არასათანადო ორგანიზება ძირს უთხრის სასამართლოსადმი ნდობას, აკნინებს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს.

სასამართლოს თავმჯდომარე (სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე) ვალდებულია მიიღოს ყველა აუცილებელი ზომები მოსამართლეების მიერ საკუთარი მოვალეობების დროული და ეფექტური შესრულების უზრუნველსაყოფად, მათ შორის ორგანიზაციული, ფინანსური, მატერიალური, სოციალურ-საყოფაცხოვრებო ხასიათის ზომები.

5. სასამართლოს თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს მოსამართლეთა და სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა შორის სამსახურებრივი ფუნქციების თანაბარი განაწილება.

6. სასამართლოს თავმჯდომარემ კეთილსინდისიერად უნდა გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება საკადრო საკითხების გადაწყვეტისას, თავიდან აირიდოს უსაფუძვლო დანიშვნები, მფარველობა, ფამილარობა. ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებისას, სასამართლოს თავმჯდომარე უნდა იყოს კორექტული, თავშეკავებული მოსამართლეებთან და სხვა პირებთან ურთიერთობაში, რომლებიც იმყოფებიან მის დაქვემდებარებაში, მოთმინებით აიტანოს თავისი ქმედებების კრიტიკა, არ დაუშვას მასთან დაკავშირებული კრიტიკული დამოკიდებულების გამო ვინმეს პირდაპირი ან არაპირდაპირი დევნა.

დაუშვებელია როგორც კანონსაწინააღმდეგო პატრონაჟი სამსახურში (დაუმსახურებელი წახალისება, თანამდებობაზე უსაფუძვლო დაწინაურება, სხვა ქმედებების ჩადენა, რაც არ არის გამოწვეული სამსახურებრივი საჭიროებით), ისე მფარველობა სამსახურში (მაგალითად, ზომების მიუღებლობა სამსახურებრივი საქმიანობისას დაშვებული უმოქმედობის ან დარღვევებისას, არამართლზომიერი ქმედებების რეაგირების გარეშე დატოვება).

7. მოსამართლეს უფლება აქვს მოითხოვოს მოსამართლის თანაშემწისაგან, სასამართლოს სხდომის მდივნისაგან და სასამართლოს აპარატის სხვა თანამშრომლისაგან საჯარო სამსახურში მყოფი პირებისათვის სამსახურებრივი რეგლამენტით განსაზღვრული ზოგადი ქცევის პრინციპების დაცვა, მაღალი პროფესიული დონის შენარჩუნება, ეთიკური ქცევის წესების, აკრძალვების, შეზღუდვების,

მოვალეობათა შესრულების სათანადო დაცვა, რაც გათვალისწინებულია რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით საჯარო სამსახურის

8. მოსამართლემ არ უნდა დააკისროს ან დაავალდებულოს სასამართლოს აპარატის თანამშრომლებს ისეთი ქმედებების შესრულება, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დარღვევად, თუ მათი შესრულება პირდაპირ მოსამართლის კომპეტენციაა.

მუხლი 13. თანამშრომლობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან

1. სასამართლოს საქმიანობის ეფექტურობა დამოკიდებულია მისადმი საზოგადოების ნდობაზე, იმაზე თუ რამდენად ნათლად გასაგებია საზოგადოებისათვის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივი მოტივები.

სასამართლოს მოღვაწეობის შესახებ საზოგადოების ობიექტური, სანდო და ოპერატიული ინფორმირების მიზნით მოსამართლეებმა უნდა ითანამშრომლონ მასმედიასთან;

2. მოსამართლეს უნდა შეეძლოს მიაწოდოს პროფესიული ინფორმაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს სასამართლოსა და მოსამართლის საქმიანობის შესახებ, რამდენადაც ეს ეხმარება არამარტო მოქალაქის მართლშეგნების ფორმირებას და სასამართლოსადმი ნდობის განმტკიცებას, მართლმსაჯულების ავტორიტეტის ამაღლებას, არამედ ხელს უწყობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეასრულონ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფუნქცია, მიაწოდონ მოქალაქეებს ინფორმაცია ყველა სოციალურ მოვლენებზე;

3. სასამართლოს საქმიანობის შესახებ მასმედიის ინფორმირებისას მოსამართლემ უნდა გამოავლინოს წინდახედულობა, არ გააკეთოს კომენტარები საქმეზე, რომელზეც არ არის მიღებული სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება. ამასთან ეს არ ართმევს უფლებას მოსამართლეს, მიაწოდოს ინფორმაცია მასმედიას საქმის განხილვის საპროცესო სტადიების შესახებ. განსახილველ საქმესთან დაკავშირებით მოსამართლეს უფლება აქვს განმარტოს ზეპირად ან წერილობით მის მიერ მიღებული სასამართლო აქტი.

4. მოსამართლემ უნდა გამოავლინოს თავშეკავება და კორექტულობა თავიანთი კოლეგების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა კომენტარებისას. მოსამართლეს უფლება აქვს მისცეს განმარტება ან კომენტარი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, გამოთქვას მოსაზრება მატერიალური და/ან საპროცესო სამართლის ნორმების მიღების არსებული პრაქტიკის შესახებ.

მოსამართლეთა საზოგადოების შიგნით მოსამართლეს შეუძლია არ დაეთანხმოს კოლეგის ქმედებას სამართალწარმოების სფეროში ნაკლოვანებების აღმოფხვრის, პრევენციის და საჯაროობის (საქვეყნოობის) კონსტიტუციური და საერთაშორისო – სამართლებრივი პრინციპების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით.

5. თუ მოსამართლის საქმიანობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ისეთნაირად შუქდება, რომ სასამართლოსა და მოსამართლის საქმიანობის შესახებ იქმნება დამახინჯებული წარმოდგენა, მაშინ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ასეთ ქმედებაზე რეაგირების ფორმის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს თითოეულმა მოსამართლემ დამოუკიდებლად იმ კანონიერი საშუალებებით, რომლებიც მას გააჩნია როგორც მოქალაქეს. მოსამართლის მიმართვა სამართალდამცავი ორგანოებისათვის თავისი პატივისა და ღირსების დასაცავად ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის – კრიტიკაზე საჯარო პასუხის გასაცემად მხოლოდ იმ

შემთხვევაშია გამართლებული თუ ამოწურულია რეაგირების სხვა საშუალებები ან თუ მათი გამოყენება შეუძლებელია.

6. მოსამართლე, რომელიც პასუხს სცემს საჯარო კრიტიკას, უნდა გამოავლინოს თავშეკავება და წინდახედულობა. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლის ქმედებების უსაფუძვლო კრიტიკამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით შეიძლება ზიანი მიაყენოს მართლმსაჯულების ავტორიტეტს და მიუკერძოებლობას, მიზანშეწონილად ითვლება კრიტიკაზე პასუხის გაცემა პუბლიკაციის სახით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სასამართლოს და/ან სასამართლო დეპარტამენტის ორგანოს, აგრეთვე მოსამართლეთა საზოგადოების ორგანოს პრეს-სამსახურის კომენტარები.

თავი 4. მოსამართლეთა ქცევის პრინციპები და წესები არასამოსამართლო საქმიანობისას

მუხლი 14. არასამოსამართლო საქმიანობის განხორციელების პრინციპები

1. არასამოსამართლო საქმიანობისას და არა სამსახურებრივი ურთიერთობებისას მოსამართლემ თავი უნდა აარიდოს ყოველივე იმას, რამაც შესაძლებელია შეზღავდეს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი, ეჭვქვეშ დააყენოს მისი მიუკერძოებლობა და სამართლიანობა.

2. მოსამართლეს შეუძლია ეწეოდეს სხვადასხვა სახის არასამოსამართლო საქმიანობას, მათ შორის სამეცნიერო, საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, საქველმოქმედო და სხვა სახის საქმიანობას, და მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საჯარო ღონისძიებებში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას რუსეთის ფედერაციის მოსამართლეთა სტატუსის შესახებ და ზიანს არ აყენებს მართლმსაჯულების ინტერესებს.

3. მოსამართლე არ უნდა ჩაერთოს ისეთი სახის არასამოსამართლო საქმიანობაში და არ მიიღოს მონაწილეობა იმ საჯარო ღონისძიებებში, რომლებიც დაბრკოლებებს შეუქმნის მოსამართლეს მისი პროფესიული მოვალეობების შესრულებისას, უარყოფით ზეგავლენას მოახდენს მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე, გამოიწვევს მოსამართლის აცილების ან თვითაცილების შესახებ ხშირ განცხადებებს, ან ცდება მოსამართლეთა სტატუსის შესახებ რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვათა ფარგლებს.

მუხლი 15. სამართლისა და კანონმდებლობის განვითარებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში მონაწილეობა

1. მოსამართლეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ღონისძიებებში, რომელთა მიზანია სამართლისა და კანონმდებლობის, სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების სრულყოფა.

2. მოსამართლეს შეუძლია გამოვიდეს საჯარო მოხსენებებითა და ლექციებით, მონაწილეობა მიიღოს საჯარო მოხსენებებში, სამეცნიერო ფორუმებსა და კონფერენციებში, დაწეროს სტატიები და წიგნები, განახორციელოს სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა, მათ შორის ანაზღაურებადი საქმიანობა, ასევე ეწეოდეს სხვა საქმიანობას სამართლის, კანონმდებლობის, მართლმსაჯულების სფეროში, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას მოსამართლეთა სტატუსის შესახებ.

3. მოსამართლეს უფლება აქვს თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი და მონაწილეობა მიიღოს საჯარო დებატებში, მათ შორის სასამართლო საქმიანობის ეფექტურობის საკითხებზე, განმარტოს მისი ან მისი კოლეგის მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლებრივი მოტივები. ამავე დროს, საკუთარ ანგარიშებში (კომენტარებში) მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს თავშეკავება და სიფრთხილე, იყოს მიუკერძოებელი საქმეში მონაწილე პირებთან ურთიერთობაში და დარჩეს ერთგული სასამართლო ხელისუფლების ერთგული.

მუხლი 16. შეზღუდვები, დაკავშირებული იურიდიული პრაქტიკის განხორციელებასთან

1. მოსამართლეს უფლება არა აქვს ეწეოდეს საადვოკატო და სხვა სახის იურიდიულ პრაქტიკას, აღმოუჩინოს იურიდიული მომსახურება მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში. ამასთან ერთად მოსამართლეს უფლება აქვს იყოს საკუთარი თავის წარმომადგენელი, ასევე, სხვა პირთა კანონიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში, მისცეს კონსულტაციები და აღმოუჩინოს სხვა სახის იურიდიული დახმარება თავისი ოჯახის წევრებს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული შეზღუდვები ვრცელდება იმ მოსამართლეებზეც, რომლებიც იმყოფებიან პენსიაზე, თუ ფედერალური კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 17. საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა

1. მოსამართლეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების საქმიანობაში, თუ ეს ზიანს არ აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს და მოსამართლის მიერ თავისი პროფესიული მოვალეობების სათანადო შესრულებას.

2. მოსამართლე შეიძლება იყოს არაკომერციული საზოგადოებრივი, მათ შორის პროფესიული, საქველმოქმედო, საგანმანათლებლო და სხვა მსგავსი ორგანიზაციების წევრი, იმ შეზღუდვების დაცვით, რაც გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით.

3. მოსამართლემ არ უნდა მისცეს კონსულტაცია ამ მუხლის მე-2 პუნქტში დასახელებულ ორგანიზაციებს, აღმოუჩინოს მათ იურიდიული დახმარება ისეთ საკითხებზე, რომლებიც შეიძლება გახდეს სასამართლო განხილვის საგანი.

4. შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, მოსამართლემ, რომელიც წარმოადგენს არაკომერციული საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრს, არ უნდა დაუშვას, იყოს ნდობით აღჭურვილი პირი ან წარმომადგენელი ფიზიკური ან იურიდიული პირების საქმეებზე.

5. მოსამართლემ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასარგებლოდ სახსრების მოძიებაში, მოუწოდოს ორგანიზაციის წევრებს მონაწილეობა მიიღონ სახსრების მოძიებაში თუ ასეთი მოწოდებები შეიძლება შეფასდეს როგორც იძულება ან თავისი არსით წარმოადგენს სახსრების მოძიების გაზრდის დამატებით ზომას, აგრეთვე, არ უნდა გამოიყენოს ან დაუშვას, რომ სხვებმა გამოიყენონ აღნიშნული მიზნებისათვის საკუთარი სამსახურებრივი ავტორიტეტი.

მუხლი 18. საჯარო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთქმედება

1. მოსამართლე უფლებამოსილია განახორციელოს ურთიერთქმედება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, სამართლის, კანონმდებლობის, სასამართლო სისტემის, სასამართლო პრაქტიკის საკითხებზე იმდენად, რამდენადაც ეს აღქმული იქნება როგორც მისი საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, რომელიც დაფუძნებულია პირად გამოცდილებასა და ცოდნაზე იმ დარგში, რომელშიც ის სპეციალიზებულია, ამასთან ერთად თავი აარიდოს ყველაფერს იმას, რამაც შეიძლება გააჩინოს ეჭვი მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში და გამოიწვიოს მასზე ზემოქმედება მითითებული ორგანოების თანამდებობის პირთა მხრიდან.
2. მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს საჯარო განცხადებების, მსჯელობისა და შეფასებების გაკეთებისაგან სახელმწიფო ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, აგრეთვე, ამ ორგანოების ხელმძღვანელების საქმიანობასთან დაკავშირებით.
3. მოსამართლეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შექმნილი კომიტეტების, კომისიების საქმიანობაში, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მათი საქმიანობა არ უკავშირდება კანონმდებლობის, სამართლის და სასამართლო სისტემის სრულყოფას და თუ მათ საქმიანობაში მონაწილეობა შექმნის დაბრკოლებებს მოსამართლის პროფესიული მოვალეობების შესრულებაში ან ძირს გამოუთხრის საზოგადოების ნდობას სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისადმი, ეჭვქვეშ დააყენებს მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.
4. მოსამართლეს შეუძლია იყოს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი, რუსეთის ფედერაციის სუბიექტი ოფიციალურ შეხვედრებზე ან ისტორიულ, საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებზე.

მუხლი 19. შეზღუდვები, დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობასთან

1. მოსამართლეს უფლება არა აქვს ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას პირადად ან მინდობილი პირების (რწმუნებულის, წარმომადგენლის) მეშვეობით, მათ შორის მიიღოს მონაწილეობა ბიზნესის მართვაში როგორც ხელმძღვანელმა სუბიექტმა მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.
2. მოსამართლეს შეუძლია მოახდინოს სახსრების ინვესტირება და განკარგოს თავისი ქონება, მათ შორის უძრავი ქონება, ასევე, მიიღოს მოგება სხვა წყაროებიდან, როგორცაა უძრავი ქონების გაქირავება, თუ ეს საქმიანობა არ გულისხმობს მოსამართლის სტატუსის გამოყენებას.
3. მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს ისეთი საქმიანობისაგან, რომელიც უკავშირდება კერძო გარიგებებს, გრძელვადიან საქმიან ურთიერთობებს იმ პირებთან, რომლებიც წარმოადგენენ მხარეებს ან წარმომადგენლებს საქმეებზე, რომლებიც იმყოფება იმ სასამართლოს წარმოებაში, სადაც ამ მოსამართლეს უკავია თანამდებობა.
4. მოსამართლე შეიძლება იყოს ანდერძის აღმასრულებელი ან სხვა მინდობილი პირი (რწმუნებული, წარმომადგენელი) მხოლოდ იმ ქონებასთან ან საკუთრებასთან დაკავშირებით, რომელიც ეკუთვნის მოსამართლის ოჯახის წევრს. რწმუნებული პირის (წარმომადგენლის)

უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლემ უნდა იმოქმედოს იმავე შეზღუდვების ფარგლებში, რომლებიც ვრცელდება მის საქმიანობაზე, რომელსაც იგი ახორციელებს თავისი სახელით.

მუხლი 20. არასამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მიღებული გასამრჯელო

მოსამართლეს უფლება აქვს მიიღოს გასამრჯელო და ხარჯების ანაზღაურება არასამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას რუსეთის ფედერაციის მოსამართლეების სტატუსის შესახებ და თუ ამ ფულის გადახდის წყარო არ ქმნის მოსამართლეების მიერ საკუთარი პროფესიული მოვალეობების შესრულებაზე ზეგავლენის შთაბეჭდილებას, ხოლო მოსამართლის გასამრჯელოს ოდენობა უნდა მიესადაგება სხვა პირების მიერ ანალოგიური საქმიანობისას მიღებულ გასამრჯელოს ოდენობას, და არ აღემატება გონივრულ საზღვრებს, კერძოდ, არ აღემატება მოსამართლის მიერ თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის მიღებულ ფულადი ანაზღაურების ოდენობას.

მუხლი 21. შეზღუდვები, დაკავშირებული პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობასთან

1. მოსამართლემ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ საქმიანობაში.
2. მოსამართლეს უფლება არა აქვს გაწევრიანდეს, თავმჯდომარეობდეს ან ეკავოს რაიმე სახის თანამდებობა რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციაში, გამოვიდეს პოლიტიკური ორგანიზაციის ან არჩევით თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის მხარდამჭერად, აგრეთვე, საჯაროდ დაუჭიროს მხარი ან გამოვიდეს არჩევით თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატის წინააღმდეგ; მონაწილეობა მიიღოს სახსრების მოზიდვაში, გაიღოს შემოწირულობა ან აღმოუჩინოს ფინანსური მხარდაჭერა პოლიტიკურ ორგანიზაციას ან კანდიდატს, ან დაესწროს პოლიტიკური ორგანიზაციის ან კანდიდატის მიერ დაფინანსებულ ღონისძიებებს; საჯაროდ გამოხატოს თავისი პოლიტიკური შეხედულებები, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკური ხასიათის მსვლელობებსა და დემონსტრაციებში ან სხვა პოლიტიკურ აქციებში.

მუხლი 22. აზრის გამოხატვის თავისუფლება

1. ყველა მოსამართლეს აქვს უფლება თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი. ეს უფლება გულისხმობს დაიცვას საკუთარი მოსაზრების თავისუფლება, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეა საჯარო ხელისუფლების მხრიდან რაიმე სახის ჩარევის გარეშე და სახელმწიფო საზღვრებისგან დამოუკიდებლად;
2. მოსამართლემ თავისი უფლება აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ ისე უნდა განახორციელოს, რომ შეესაბამებოდეს მისი სტატუსით დაწესებულ შეზღუდვებს. ამასთან ერთად, მან ყველა შემთხვევაში უნდა გამოიჩინოს თავშეკავება, როცა სასამართლოს ავტორიტეტი და მართლმსაჯულების მიუკერძოებლობა შეიძლება დადგეს ეჭვქვეშ. მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს საჯარო განცხადებებისაგან ან კომენტარებისაგან, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მართლმსაჯულების ინტერესებს, მის დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას.

მუხლი 23. პროფესიულ ორგანიზაციებში მონაწილეობა

1. მოსამართლეებს უფლება აქვთ შექმნან მოსამართლეთა ასოციაციები ან პროფესიული ორგანიზაციები, უფლება აქვთ გაწევრიანდნენ იქ მათი ინტერესებისა და მართლმსაჯულების ინტერესების დასაცავად, მოსამართლეთა სტატუსის სრულყოფილებისათვის, პროფესიული მომზადებისა და თავიანთი სამოსამართლო დამოუკიდებლობის დაცვისათვის.
2. მოსამართლეთა პროფესიულმა ორგანიზაციებმა, რომლებშიც მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი, ხელი უნდა შეუწყოს მოსამართლეების უფლებათა დაცვას, მათი სტატუსის შესაბამისად იმ სახელმწიფო ორგანოების წინაშე, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ სასამართლო სისტემისა და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღებაში.
3. მოსამართლეების აზრი მათთვის სტატუსის შეცვლის თაობაზე, მათი დაჯილდოებისა და სოციალური უზრუნველყოფის პირობების განსაზღვრის შესახებ მოსმენილ უნდა იქნეს მოსამართლეთა საზოგადოების ორგანოთა სხდომაზე.

თავი 5. დასკვნითი დებულებები

მუხლი 24. მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის ძალაში შესვლა

1. მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი ძალაში შედის სრულიად რუსეთის მოსამართლეთა VIII ყრილობის მიერ მისი დამტკიცების დღიდან.
2. ამ კოდექსის დამტკიცების დღიდან ძალადაკარგულად ცხადდება მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, დამტკიცებული 2004 წლის 2 დეკემბერს სრულიად რუსეთის მოსამართლეთა VI ყრილობის მიერ.

რუსეთის ფედერაციის სამოსამართლო ეთიკის კოდექსი თარგმნა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრმა ქეთევან ბექაურმა

2014 წელი